

საბჭოს 2013 წლის 7 ოქტომბრის

რეგულაცია (EU) N1053/2013

შენგენის კანონმდებლობის გამოყენების შემოწმებისთვის შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმის შექმნისა და შენგენის შეფასებისა და განხორციელების მუდმივმოქმედი კომიტეტის შექმნის შესახებ აღმასრულებელი კომიტეტის 1998 წლის 16 სექტემბრის გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ

ევროკავშირის საბჭო,

ითვალისწინებს, რა ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულებას, კერძოდ, მის 70-ე მუხლს,

ითვალისწინებს, რა ევროკომისიის მიერ წარმოდგენილ წინადადებას,

ითვალისწინებს, რა ევროპარლამენტის დასკვნას [\(1\)](#),

ვინაიდან:

(1) შენგენის ზონა შიდა საზღვრებზე სასაზღვრო კონტროლის გარეშე ეყრდნობა გარე საზღვრების, სავიზო პოლიტიკის, შენგენის საინფორმაციო სისტემის, მონაცემთა დაცვის, პოლიციის თანამშრომლობის, სისხლის სამართლის საკითხებში სასამართლოების თანამშრომლობისა და ნარკოტიკული პოლიტიკის სფეროებში წევრი სახელმწიფოების მიერ თანმდევი ღონისძიებების ეფექტურ და ეფექტიან განხორციელებას.

(2) აღმასრულებელმა კომიტეტის 1998 წლის 16 სექტემბრის გადაწყვეტილებით [\(2\)](#) (SCH/Com-ex (98) 26 def) (შემდგომში „1998 წლის 16 სექტემბრის გადაწყვეტილება“) შეიქმნა შენგენის შეფასებისა და განხორციელების მუდმივმოქმედი კომიტეტი. მუდმივმოქმედ კომიტეტს მიენიჭა მანდატი, რათა პირველ რიგში, დაედგინა, შეასრულეს თუ არა კანდიდატმა სახელმწიფოებმა შიდა საზღვრებზე სასაზღვრო კონტროლის მოხსნის ყველა წინაპირობა და, მეორე, უზრუნველყო შენგენის კანონმდებლობის სწორად გამოყენება იმ სახელმწიფოების მიერ, რომლებიც მას უკვე სრულად იყენებდნენ.

(3) აუცილებელია შეფასებისა და მონიტორინგის კონკრეტული მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც მოხდება შენგენის კანონმდებლობის გამოყენების შემოწმება კანონმდებლობის პრაქტიკაში გამოყენების მაღალი და ერთგვაროვანი სტანდარტების უზრუნველყოფის მიზნით და მაღალი ხარისხის ნდობის შესანარჩუნებლად იმ წევრ სახელმწიფოებს შორის, რომლებიც შიდა საზღვრებში საზღვრის კონტროლის არმქონე ზონის ნაწილს წარმოადგენენ. ასეთი მექანიზმი კომისიისა და ზემოთხსენებული წევრი სახელმწიფოების მჭიდრო თანამშრომლობით უნდა შეიქმნას.

- (4) ჰააგის პროგრამამ [\(3\)](#) კომისიას მოუწოდა, რომ შიდა საზღვრებზე კონტროლის გაუქმების დასრულებისთანავე, წარადგინოს წინადადება არსებული შენგენის შეფასების მექანიზმისათვის საზედამხედველო მექანიზმის დამატების შესახებ რომელიც წევრი სახელმწიფოების ექსპერტთა სრულ ჩართულობას უზრუნველყოფს და მოულოდნელ შემოწმებებს მოიცავს.
- (5) სტოკჰოლმის პროგრამა [\(4\)](#) ითვალისწინებს, რომ შენგენის ზონის შეფასება კვლავ უმნიშვნელოვანესი იქნება და, შესაბამისად, ის უნდა გაუმჯობესდეს ევროკავშირის გარე საზღვრებზე ოპერაციული თანამშრომლების მართვის ევროპული სააგენტოს ('ფრონტექსი') როლის გაძლიერების გზით, რომელიც საბჭოს No 2007/2004 [\(5\)](#) რეგულაციის საფუძველზე ჩამოყალიბდა.
- (6) შესაბამისად, 1998 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილებით შემუშავებული შეფასების მექანიზმში შეტანილ უნდა იქნას შესწორებები და 1998 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს.
- (7) წარსული შეფასებების განმავლობაში დაგროვებული გამოცდილება აჩვენებს რომ აუცილებელია შეფასების გამართული მექანიზმის შენარჩუნება, რომელიც შენგენის კანონმდებლობის ყველა სფეროს უნდა მოიცავდეს, გარდა იმ სფეროებისა, რომლებშიც, ევროკავშირის კანონმდებლობის თანახმად, კონკრეტული შეფასების მექანიზმი უკვე არსებობს.
- (8) ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 70-ე მუხლის თანახმად, თავისუფლების, უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების საკითხებში ევროკავშირის პოლიტიკის განხორციელების ობიექტური და მიუკერძოებელი შეფასება წევრი სახელმწიფოების მიერ კომისიასთან თანამშრომლობით უნდა მოხდეს. ეფექტურობის უზრუნველსაყოფად, მართებული შეფასების პროცესი უნდა მოიცავდეს შემდგომ საქმიანობასა და შეფასების ანგარიშების მონიტორინგს, რაც კომისიამ უნდა უზრუნველყოს.
- (9) გარდა ამისა, იმისათვის, რომ შეფასების მექანიზმი უფრო ეფექტური იყოს, უზრუნველყოფილი უნდა იქნას წინამდებარე რეგულაციის განხორციელების ერთგვაროვანი პირობების არსებობა. სწორედ ამიტომ, განხორციელების უფლებამოსილება გარკვეულწილად კომისიასა და საბჭოს სხვა წევრებსაც უნდა მიენიჭოს.
- (10) შეფასებების მომზადებისა და დაგეგმვის უფლებამოსილება და შეფასების ანგარიშების მიღების უფლებამოსილება კომისიას უნდა მიენიჭოს. ზოგიერთი ეს უფლებამოსილება უნდა განხორციელდეს 2011 წლის 16 თებერვალს ევროპარლამენტისა და საბჭოს მიერ მიღებული (EU) #182/2011 რეგულაციის თანახმად, რომელიც განსაზღვრავს იმ მექანიზმების წესებსა და ზოგად პრინციპებს, რომელთა მეშვეობითაც წევრი სახელმწიფოები კომისიის მიერ აღსრულების უფლებამოსილების [\(6\)](#) განხორციელებას გააკონტროლებენ. ამ რეგულაციის მე-2(2)(b)(iii) მუხლის პირობების გათვალისწინებით, მსგავსი აქტების მიღება შემოწმების პროცედურის გამოყენებით ხორციელდება.

(11) წევრ სახელმწიფოებს შორის ნდობის განმტკიცების, ევროკავშირის დონეზე მათ კოორდინაციის გაუმჯობესებისა და მათ შორის თანასწორთა ზეწოლის გაძლიერების მიზნით, საბჭოს უნდა მიენიჭოს უფლებამოსილება, მიიღოს რეკომენდაციები გასაჩივრების ქმედებათა განსახორციელებლად, რომლებიც შეფასების ანგარიშებში აღმოჩენილი ხარვეზების გამოსწორებისკენ იქნება მიმართული. აღსრულების მსგავსი უფლებამოსილება საბჭოსათვის ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 70-ე მუხლით მინიჭებულ უფლებამოსილებას ასახავს, რომელიც თავისუფლების, უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სფეროებში ევროკავშირის პოლიტიკის განხორციელების ერთობლივ შეფასებას ეხება. ის სათანადოდ ასახავს შეფასების მექანიზმის მიზანს ამ სპეციალურ კანონზე დაყრდნობით, რომელიც, ამ კონკრეტულ სფეროში და ევროკავშირის სასამართლოს კონტროლის ქვეშ, დარღვევის პროცედურების გამოყენებით, კომისიის მიერ ევროკავშირის კანონმდებლობის გამოყენების ზედამხედველობის ზოგადი უფლებამოსილების პარალელურად, წევრთა შეფასებების მეშვეობით, ევროკავშირის პოლიტიკის პრაქტიკული განხორციელების ეფექტური მონიტორინგის დამატებითი ფუნქციის განხორციელებას ისახავს მიზნად.

ამასთან, საბჭოსათვის მინიჭებული განხორციელების უფლებამოსილება ხელს უწყობს ევროპის საბჭოს 2011 წლის 23-24 ივნისის დასკვნებში ასახული იმ სურვილის აღსრულებას, რომლის თანახმადაც, შენგენის ზონაში თანამშრომლობა წევრ სახელმწიფოების შორის ნდობის გამყარების გზით კიდევ უფრო უნდა გაძლიერდეს და წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ შენგენის ყველა წესის ეფექტური განხორციელება შეთანხმებული საერთო სტანდარტების, ძირითადი პრინციპებისა და ნორმების თანახმად. განხორციელების აღნიშნული უფლებამოსილება, საბჭოს 2012 წლის 8 მარტის დასკვნების თანახმად, შენგენის ზონაში მმართველობის გაუმჯობესებასაც უწყობს ხელს, შენგენის ზონის სწორად ფუნქციონირების შესახებ მინისტრების დონეზე პოლიტიკური განხილვების გზით, მათ შორის, იმ სიტუაციების განხილვით, რომლებშიც შეფასებების ანგარიშებით სერიოზული ხარვეზები გამოვლინდა. ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისა და შენგენის ასოცირებული ქვეყნებისაგან შემდგარ შერეულ კომიტეტებში ჩატარებული მსგავსი განხილვები საბჭოს მისი კომპეტენციის ფარგლებში იმ გადაწყვეტილებების მიღებაში დაეხმარება, რომლებიც შენგენის ზონის ეფექტურად ფუნქციონირებას უზრუნველყოფს. და ბოლოს, მსგავსი განმახორციელებელი უფლების საბჭოსათვის მინიჭება სათანადოდ ითვალისწინებს იმ რეკომენდაციების პოტენციურად პოლიტიკურად მგრძობიარე ხასიათს, რომლებიც ხშირად სახელმწიფოს აღმასრულებელ უფლებამოსილებებსაც ეხება.

(12) შეფასების მექანიზმმა შეფასებების პროცესში გამოსაყენებელი მეთოდების, სავლევ ვიზიტებისათვის მაღალკვალიფიციური ექსპერტების გამოყენებისა და შეფასებების შედეგებზე შემდგომი რეაგირების შესახებ გამჭვირვალე, ეფექტური და ნათელი წესები უნდა შექმნას. უფრო კონკრეტულად, მეთოდი წინასწარ დაგეგმილ სავლევ ვიზიტებთან ერთად, განსაკუთრებით, სასაზღვრო კონტროლთან და სავიზო საკითხებთან

დაკავშირებულ ვიზიტებთან ერთად, მოულოდნელ საველე ვიზიტებსაც უნდა უზრუნველყოფდეს.

- (13) შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმი შენგენის კანონმდებლობის ყველა ასპექტს უნდა ფარავდეს. რაც შეეხება საზღვრების საკითხს, შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმი, როგორც გარე საზღვრების მონიტორინგის ეფექტურობას, ისე შიდა საზღვრებზე კონტროლის არარსებობას უნდა ფარავდეს.
- (14) შეფასებისა და მონიტორინგის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შენგენის კანონმდებლობის გამოყენებისას ადამიანის ფუნდამენტური უფლებების პატივისცემას.
- (15) შეფასებამ წვერი სახელმწიფოების მიერ ფუნდამენტური პრინციპებისა და ნორმების თანახმად, შენგენის წესების ეფექტური გამოყენება უნდა უზრუნველყოს. შესაბამისად, შეფასების მექანიზმი უნდა მოიცავდეს ყველა შესაბამის კანონმდებლობასა და ოპერაციულ საქმიანობას, რომელიც შიდა საზღვრებზე საზღვრის კონტროლის არმქონე ზონის ფუნქციონირებას უწყობს ხელს.
- (16) შეფასების მექანიზმის ეფექტურობისა და სანდოობის გაძლიერების თვალსაზრისით, ყველა შეფასებაში გათვალისწინებული უნდა იქნას ხელისუფლების იმ ორგანოების სწორი ფუნქციონირება, რომლებიც შენგენის კანონმდებლობის შესაბამის ნაწილებს იყენებენ. ეს გაზრდის შეფასების მექანიზმის შესაძლებლობას, უზრუნველყოს წვერი სახელმწიფოების მიერ შენგენის წესების ეფექტური გამოყენება იმ არსებითი პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად, რომლებსაც ევროპის საბჭო 2011 წლის 23-24 ივნისის გადაწყვეტილებებით მოითხოვს. ეს შეესაბამება ევროპის საბჭოს 2012 წლის 1-2 მარტის გადაწყვეტილებებით განსაზღვრულ მოთხოვნებს, რომელთა თანახმადაც შეფასების მექანიზმი შენგენის კანონმდებლობის განხორციელებაში ჩართული შესაბამისი ინსტიტუტების სათანადო ფუნქციონირებას არეგულირებს.
- (17) სასაზღვრო კონტროლის ევროპულმა სააგენტომ (შემდგომში „ფრონტექსმა“) ხელი უნდა შეუწყოს შეფასების მექანიზმის დანერგვას, უპირველეს ყოვლისა, გარე საზღვრებთან დაკავშირებული რისკის ანალიზის სფეროში. საჭიროების მიხედვით, გარე საზღვრებზე საველე ვიზიტების განხორციელების პროცესში, შეფასების მექანიზმს ფრონტექსის ექსპერტული დახმარების გამოყენებაც უნდა შეეძლოს.
- (18) ევროკავშირის სხვა ორგანოები, უწყებები და სააგენტოები, როგორებიცაა საბჭოს #2009/371/JHA [\(7\)](#) გადაწყვეტილებით შექმნილი ევროპის პოლიციის სამსახური (შემდგომში „ევროპოლი“), და საბჭოს #2002/187/JHA [\(8\)](#) გადაწყვეტილებით შექმნილი ევროკავშირის სამართლებრივი თანამშრომლობის სააგენტო (შემდგომში „ევროიუსტი“) საჭიროებისამებრ უნდა უზრუნველყოფდნენ მათი მანდატით განსაზღვრულ ზონებში შეფასების მექანიზმის განხორციელებას. ამასთან, შესაბამის პირობებში, შეფასების მექანიზმს უნდა შეეძლოს ევროკავშირის ორგანოების, უწყებებისა და სააგენტოების ექსპერტული შესაძლებლობების გამოყენება მათი მანდატის ფარგლებში საველე ვიზიტების განხორციელების თვალსაზრისით. მაგალითად, ეს შეიძლება მოხდეს

ევროპის მონაცემთა დაცვის ზედამხედველის შემთხვევაში, როდესაც საქმე ეხება მონაცემთა დაცვას, რაშიც შეიძლება ასევე მონაცემთა დაცვის ეროვნული უწყებები იყოს ჩართული.

(19) წევრმა სახელმწიფოებმა და კომისიამ უნდა უზრუნველყონ, რომ სავსე ვიზიტებისათვის ხელმისაწვდომ ექსპერტებს ჰქონდეთ შესაბამისი გამოცდილება და ამ მიზნით გავლილი ჰქონდეთ კონკრეტული სწავლებები, მათ შორის ფუნდამენტური უფლებების დაცვის საკითხებში. შესაბამისი სწავლებები უნდა ჩაატარონ ასევე ევროკავშირის შესაბამისმა ორგანოებმა, უწყებებმა და სააგენტოებმა, როგორცაა, ფონტექსი. წერი სახელმწიფოებისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ფინანსური რესურსები ევროკავშირის არსებული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებითა და მსგავსი ინსტრუმენტების განვითარებით შენგენის კანონმდებლობის შეფასების სფეროში კონკრეტული სწავლებებისკენ მიმართული ინიციატივებისთვის.

(20) ევროპის პარლამენტისა და ეროვნული პარლამენტებისათვის ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 70-ე მუხლის ბოლო წინადადებით მინიჭებული კონკრეტული როლის გათვალისწინებით, როგორც ეს ხაზგასმულია ევროკავშირის შეთანხმების მე-12 მუხლის (გ) პუნქტში, ეროვნულ პარლამენტებთან მიმართებით აუცილებელია იმის უზრუნველყოფა, რომ საბჭომ და კომისიამ ევროპის პარლამენტსა და ეროვნულ პარლამენტებს შეფასების შინაარსისა და შედეგების შესახებ სრული ინფორმაცია მიაწოდონ. ამასთან, თუ კომისია ამ რეგულაციაში ცვლილების შეტანის წინადადებას წარმოადგენს, საპროცესო ნორმების მე-19(7)(თ) მუხლის თანახმად, საბჭო კონსულტაციას გაივლის ევროპარლამენტთან, რათა ტექსტის საბოლოო მიღებამდე, რამდენადაც შესაძლებელია, გაითვალისწინოს მისი მოსაზრება.

(21) დანიის პოზიციის შესახებ 22-ე ოქმის პირველი და მე-2 მუხლების თანახმად, რომელიც თან ერთვის ევროკავშირის ხელშეკრულებისა და ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულებას, დანია არ მონაწილეობს ამ რეგულაციის მიღებაში და მისთვის სავალდებულო არ არის, ან მასზე არ ვრცელდება მათი განხორციელება. იმის გათვალისწინებით, რომ ეს რეგულაცია შენგენის კანონმდებლობას ეფუძნება, დანიამ, ხსენებული ოქმის მე-4 მუხლის თანახმად, საბჭოს მიერ ამ რეგულაციაზე გადაწყვეტილების მიღებიდან 6 თვის განმავლობაში, უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, განახორციელებს თუ არა მას ეროვნულ კანონმდებლობაში.

(22) გაერთიანებული სამეფო მონაწილეობს წინამდებარე რეგულაციაში ევროკავშირის კანონმდებლობის შესახებ #19 ოქმის მე-5(1) მუხლის თანახმად, რომელიც ევროკავშირის ჩარჩოში არის ინტეგრირებული და თან ერთვის ევროკავშირის შეთანხმებასა და ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულებას და საბჭოს 2000 წლის 29 მაისის #2000/365/EC გადაწყვეტილების მე-8(2) მუხლს, რომელიც ეხება დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მოთხოვნას, მონაწილეობა მიიღოს შენგენის კანონმდებლობის ზოგიერთ დებულებაში ⁽⁹⁾.

(23) ირლანდია ამ რეგულაციაში მონაწილეობას იღებს შენგენის კანონმდებლობის შესახებ

#19 ოქმის მე-5(1) მუხლის თანახმად, რომელიც ევროკავშირის ჩარჩოშია გაერთიანებული და თან ერთვის ევროკავშირის შეთანხმებასა და ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულებას, ასევე საბჭოს 2002 წლის 28 თებერვლის #2002/192/EC გადაწყვეტილების მე-6(2) მუხლს, რომელიც ეხება ირლანდიის მოთხოვნას, მონაწილეობა მიიღოს შენგენის კანონმდებლობის გარკვეულ დებულებებში ⁽¹⁰⁾.

(24) რაც შეეხება ისლანდიას და ნორვეგიას, ეს რეგულაცია წარმოადგენს შენგენის კანონმდებლობის დებულებების შემუშავების ნაწილს, ევროკავშირის საბჭოსა და ისლანდიის რესპუბლიკასა და ნორვეგიის სამეფოს შორის მათი ასოცირების ფარგლებში შენგენის კანონმდებლობის ⁽¹¹⁾ განხორციელების, გამოყენებისა და შემუშავების შესახებ დადებული შეთანხმების ფარგლებში, რომელიც ამ ხელშეკრულების განხორციელებასთან დაკავშირებული გარკვეული პროცედურების შესახებ საბჭოს #1999/437/EC ⁽¹²⁾ გადაწყვეტილების პირველი მუხლით არის გათვალისწინებული.

(25) რაც შეეხება შვეიცარიას, ეს რეგულაცია წარმოადგენს შენგენის კანონმდებლობის დებულებების შემუშავების ნაწილს, როგორც ეს განსაზღვრულია ევროკავშირის, ევროპის გაერთიანებასა და შვეიცარიის კონფედერაციას შორის შვეიცარიის კონფედერაციის ასოცირებასთან დაკავშირებით შენგენის კანონმდებლობის ⁽¹³⁾ განხორციელების, გამოყენებისა და შემუშავების თაობაზე შეთანხმებით რომელზეც ვრცელდება #1999/437/EC გადაწყვეტილების პირველი მუხლი, საბჭოს #2008/146/EC ⁽¹⁴⁾ გადაწყვეტილების მე-3 მუხლთან ერთად.

(26) რაც შეეხება ლიხტენშტეინს, ეს რეგულაცია წარმოადგენს შენგენის კანონმდებლობის დებულებების გაგმელებას, როგორც ეს განსაზღვრულია ევროკავშირის, ევროპის გაერთიანებასა და შვეიცარიის კონფედერაციას შორის შვეიცარიის კონფედერაციის ასოცირებასთან დაკავშირებით შენგენის კანონმდებლობის განხორციელების, გამოყენებისა და შემუშავების თაობაზე შეთანხმებაზე ლიხტენშტეინის სამთავროს მიერთების თაობაზე ევროკავშირის, ევროპის გაერთიანებას, შვეიცარიის კონფედერაციასა და ლიხტენშტეინის სამთავროს შორის ოქმით, რომელზეც ვრცელდება #1999/437/EC გადაწყვეტილების პირველი მუხლი, საბჭოს #2011/350/EU გადაწყვეტილების მე-3 მუხლთან ერთად ⁽¹⁶⁾.

(27) ვინაიდან ამ რეგულაციის ძალაში შესვლის თარიღისათვის, 1998 წლის 16 სექტემბრის გადაწყვეტილების თანახმად, კვიპროსის შეფასება უკვე დაწყებული იქნება, ეს რეგულაცია კვიპროსზე 2016 წლის 1 იანვრამდე არ გავრცელდება.

(28) იმის გათვალისწინებით, რომ შენგენის შესაბამისი შეფასების პროცედურებით ბულგარეთისა და რუმინეთის შემოწმება 2005 წლის მიერთების აქტის მე-4(2) მუხლის თანახმად უკვე დასრულებულია, ამ რეგულაციის 1(1)(ბ) მუხლით გათვალისწინებული შემოწმება ხსენებული წევრი სახელმწიფოების შემთხვევაში არ განხორციელდება.

(29) მიუხედავად ამისა, ექსპერტებმა კვიპროსიდან, ბულგარეთიდან, რუმინეთისა და ხორვატიიდან შენგენის კანონმდებლობის განხორციელების შეფასების ყველა ნაწილში უნდა მიიღონ მონაწილეობა.

მიიღო წინამდებარე რეგულაცია:

მუხლი 1

მიზანი და მოქმედების სფერო

1. წინამდებარე რეგულაცია ამტკიცებს შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმს, რომლის მიზანია:

(ა) შეამოწმოს შენგენის კანონმდებლობის განხორციელება იმ წევრ სახელმწიფოებში, რომლებზეც ეს კანონმდებლობა სრულად ვრცელდება, ისევე, როგორც იმ წევრ სახელმწიფოებში, რომლებზეც ევროკავშირის შეთანხმებასა და ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულებაზე დართული შესაბამისი ოქმების თანახმად, შენგენის კანონმდებლობა ნაწილობრივ ვრცელდება;

(ბ) შეამოწმოს, რომ შენგენის კანონმდებლობის ყველა შესაბამისი ნაწილის განხორციელებისათვის საჭირო პირობები დაკაყოფილებულია იმ წევრ სახელმწიფოებში, რომლებზეც საბჭოს გადაწყვეტილებით შენგენის კანონმდებლობა სრულად, ან ნაწილობრივ უნდა გავრცელდეს, გარდა იმ წევრი სახელმწიფოებისა, რომელთა შეფასება ამ რეგულაციის ძალაში შესვლის პერიოდისათვის უკვე დასრულებული იქნება.

2. ამ მუხლის 1(ბ) პუნქტით გათვალისწინებული შემოწმება ეხება ყველა წევრ სახელმწიფოს, 23-ე მუხლის მეორე პუნქტის მოქმედების შეუზღუდავად, იმ წევრ სახელმწიფოებთან მიმართებით, რომლებშიც შეფასების პროცედურები 2013 წლის 26 ნოემბრისათვის უკვე დაწყებული იყო.

3. იმ წევრი სახელმწიფოების ექსპერტები, რომლებიც შესაბამისი შეერთების აქტის თანახმად შენგენის კანონმდებლობას ჯერ კიდევ არ ახორციელებენ სრულად, შენგენის კანონმდებლობის ყველა ნაწილის შეფასების პროცესში მაინც მონაწილეობენ.

მუხლი 2

განსაზღვრება

წინამდებარე რეგულაციის მიზნისათვის, „შენგენის კანონმდებლობაში“ იგულისხმება ევროკავშირის შეთანხმებასა და ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულებაზე დართული მე-19 ოქმის თანახმად ევროკავშირის ჩარჩოში გაერთიანებული დებულებები, ასევე მათ საფუძველზე შექმნილი, ან მათთან დაკავშირებული სხვა აქტები.

მუხლი 3

ვალდებულებები

1. წევრმა სახელმწიფოებმა და კომისიამ ერთობლივად უნდა აიღონ წინამდებარე რეგულაციაში მითითებული შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმის დანერგვის ვალდებულება საბჭოს იმ ორგანოების, უწყებების და სააგენტოების მხარდაჭერით, რომლებიც შენგენის კანონმდებლობის განხორციელების პროცესში არიან ჩართული.

2. კომისიამ ყოველწლიური და მრავალწლიანი შეფასების პროგრამების მომზადებაში, კითხვარების შემუშავებასა და ვიზიტების დაგეგმვაში, ვიზიტების ჩატარებასა და შეფასების ანგარიშებისა და რეკომენდაციების მომზადებაში ზოგადი მაკოორდინირებელი როლი უნდა შეასრულოს. ასევე, მე-16 მუხლის თანახმად, მან უნდა უზრუნველყოს შეფასების შემდგომი სამუშაოს შესრულება და შეფასების ანგარიშებისა და რეკომენდაციების მონიტორინგი.

3. წინამდებარე რეგულაციით მათთვის მინდობილი ამოცანების გასახორციელებლად, წევრმა სახელმწიფოებმა და კომისიამ შეფასების ყველა ეტაპზე სრულად უნდა ითანამშრომლონ.

მუხლი 4

შეფასებები

1. შეფასებები შეიძლება ეხებოდეს შენგენის კანონმდებლობის ყველა ასპექტს, მათ შორის გარე საზღვრების, სავიზო პოლიტიკის, შენგენის საინფორმაციო სისტემის, მონაცემთა დაცვის, პოლიციის თანამშრომლობის, სისხლის სამართლის საკითხებში სასამართლო თანამშრომლობის, ასევე შიდა საზღვრებზე სასაზღვრო კონტროლის არარსებობის სფეროებში წევრი სახელმწიფოების მიერ თანდართული ღონისძიებების ეფექტურ და ეფექტიან განხორციელებას. ყველა შეფასება უნდა ითვალისწინებდეს შენგენის კანონმდებლობის შესაბამისი სფეროს განმახორციელებელი ორგანოების საქმიანობას, როგორც ეს წინამდებარე პუნქტშია აღნიშნული.

2. შეფასებები შეიძლება მოიცავდეს კითხვარებსა და საველე ვიზიტებს, რომელიც შეიძლება განხორციელდეს წინასწარი დაგეგმვით ან დაუგეგმავად. დაგეგმილ საველე ვიზიტებს წინ უნდა უძღვოდეს კითხვარების შევსება. კონკრეტული წევრი სახელმწიფოს და/ან კონკრეტული სფეროს შეფასებისას, საჭიროებისამებრ, შესაძლებელია საველე ვიზიტებისა და კითხვარების ერთად ან დამოუკიდებლად გამოყენება.

3. როგორც კითხვარებს, ასევე საველე ვიზიტებს შეიძლება დაემატოს შესაფასებელი წევრი სახელმწიფოს მიერ შეფასების სფეროზე მომზადებული პრეზენტაციებიც.

მუხლი 5

მრავალწლიანი შეფასების პროგრამა

1. კომისიამ უნდა შეიმუშავოს 5 წელზე გათვლილი მრავალწლიანი შეფასების პროგრამა, საჭიროებისამებრ ფრონტექსთან და ევროპოლთან კონსულტაციის გავლის შემდეგ, მაგრამ მომდევნო 5-წლიანი პერიოდის დაწყებამდე არაუგვიანეს 6 თვით ადრე. პროგრამის განხორციელების აქტი უნდა დამტკიცდეს 21(2)-ე მუხლში მითითებული შემოწმების პროცესის შესაბამისად. კომისიამ მრავალწლიანი შეფასების პროგრამა ევროპარლამენტსა და საბჭოს უნდა გადასცეს.

2. თითოეული წევრი სახელმწიფოს შეფასება განხორციელდება მრავალწლიანი შეფასების პროგრამით გათვალისწინებულ ყოველ 5-წლიან პერიოდში. მრავალწლიან შეფასების

პროგრამაში ჩამოთვლილი უნდა იყოს ყოველწლიურად შესაფასებელი წევრი სახელმწიფოების სია. წევრი სახელმწიფოების შეფასების თანმიმდევრობა უნდა ითვალისწინებდეს წარმოდგენილი ქვეყნის წინა შეფასებიდან განვლილ პერიოდსა და შენგენის კანონმდებლობის შესაფასებელ ნაწილებს შორის ბალანსს.

3. საჭიროების შემთხვევაში, მრავალწლიანი შეფასების პროგრამა შეიძლება დამტკიცდეს პირველ პუნქტში მითითებული პროცედურის თანახმად.

4. მრავალწლიანი შეფასების პროგრამა შეიძლება მოიცავდეს მითითებას თემატურ შეფასებებზე, როგორც ეს აღნიშნულია მე-6(1)(ბ) მუხლში.

5. პირველი მრავალწლიანი შეფასების პროგრამა უნდა მომზადდეს 2014 წლის 27 მაისამდე. პროგრამის დაწყების თარიღია 2014 წლის 27 ნოემბერი, ხოლო დასრულების თარიღია 2019 წლის 31 დეკემბერი.

მუხლი 6

წლიური შეფასების პროგრამა

1. კომისია წლიური შეფასების პროგრამას შესაფასებელი წლის წინა წლის 31 ოქტომბრამდე შეიმუშავებს, სადაც გათვალისწინებული იქნება ფრონტექსის მიერ მე-7 მუხლის თანახმად მოწოდებული რისკების ანალიზი და, საჭიროების შემთხვევაში, ევროპოლისა და საბჭოს სხვა ევროკავშირის ორგანოების, უწყებებისა და სააგენტოების მიერ მე-8 პუნქტის თანახმად მოწოდებული ინფორმაცია.

წლიური შეფასების პროგრამა უნდა მოიცავდეს წინადადებებს, რათა შეფასდეს:

(ა) შენგენის კანონმდებლობის, ან მისი ნაწილების გამოყენება ერთი წევრი სახელმწიფოს მიერ, როგორც ეს მითითებულია მრავალწლიანი შეფასების პროგრამაში;

(ბ) შესაბამის შემთხვევებში, შენგენის კანონმდებლობის კონკრეტული ნაწილების გამოყენება რამდენიმე წევრ სახელმწიფოში (მაგ. თემატური შეფასებები).

2. აღსრულების აქტების გამოყენებით, კომისია შეიმუშავებს წლიური შეფასების პროგრამის პირველ ნაწილს, რომელიც სავლელ ვიზიტების პირობით განრიგს უნდა მოიცავდეს. ამ ნაწილში მოცემული იქნება მომდევნო წლის განმავლობაში შესაფასებელი წევრი სახელმწიფოების ჩამონათვალი, მრავალწლიანი შეფასების პროგრამის თანახმად, ასევე შესაფასებელი სფეროები და სავლელ ვიზიტები. აღსრულების აქტების მიღება განხორციელდება 21(2)-ე მუხლში მითითებული შემოწმების პროცედურის თანახმად. კომისია წლიური შეფასების პროგრამას ევროპარლამენტსა და საბჭოს წარუდგენს.

3. კომისია ამზადებს და ამტკიცებს წლიური შეფასების პროგრამის მეორე ნაწილს. ამ ნაწილში ჩამოთვლილი იქნება მომავალი წლის განმავლობაში დაუგეგმავად განსახორციელებელი სავლელ ვიზიტები. ეს ინფორმაცია კონფიდენციალური იქნება და მისი გამჟღავნება არ მოხდება.

4. წლიური შეფასების პროგრამა შეიძლება დამტკიცდეს, საჭიროების შემთხვევაში, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად.
5. წლიური შეფასების პირველი პროგრამა 2014 წლის 27 მაისამდე უნდა შემუშავდეს. ამ პროგრამის დაწყების თარიღია 2014 წლის 27 ნოემბერი და დასრულების თარიღია 2014 წლის 31 დეკემბერი.

მუხლი 7

ფრონტექსის რისკების ანალიზი

1. ყოველი წლის 31 აგვისტოსათვის, ფრონტექსი კომისიას და წევრ სახელმწიფოებს, საკუთარი მანდატის შესაბამისად, რისკების ანალიზს წარუდგენს. აღნიშნული რისკების ანალიზი ითვალისწინებს, მათ შორის, უკანონო იმიგრაციასა და მნიშვნელოვან ცვლილებებს გარე საზღვრებზე არსებულ სამუშაო გარემოში და ასევე მოიცავს რეკომენდაციებს მომავალი წლისათვის შეფასებებთან დაკავშირებული პრიორიტეტების შესახებ. რეკომენდაციებში მრავალწლიანი შეფასების პროგრამის მიხედვით მომავალი წლის განმავლობაში შესაფასებელი გარე საზღვრების კონკრეტული ნაწილები და საზღვრის გადაკვეთის კონკრეტული პუნქტებია მითითებული. კომისია ხსენებულ რისკის ანალიზს დაუყოვნებლად გადასცემს ევროპარლამენტსა და საბჭოს.
2. ყოველი წლის 31 აგვისტოსათვის, ფრონტექსი კომისიას ცალკე რისკების ანალიზს წარუდგენს, რომელიც პირველ პუნქტში მითითებული ანალიზისაგან განსხვავდება და მოიცავს რეკომენდაციებს მომავალი წლის განმავლობაში დაგეგმილი საველე ვიზიტების სახით განხორციელებული შეფასებების პრიორიტეტულ საკითხებზე, მიუხედავად ყოველწლიურად შესაფასებელი წევრი სახელმწიფოების რეგითობისა, რომელიც მე-5(2) მუხლის თანახმად, მრავალწლიანი შეფასების პროგრამაშია განსაზღვრული. ეს რეკომენდაციები შეიძლება ეხებოდეს ნებისმიერ რეგიონს ან კონკრეტულ ზონას და უნდა მოიცავდეს გარე საზღვრების არანაკლებ 10 კონკრეტული უბნის დანაყოფისა და საზღვრის გადაკვეთის არანაკლებ 10 კონკრეტული პუნქტის ჩამონათვალს. კომისიას ნებისმიერ დროს შეუძლია მოსთხოვოს ფრონტექსს წარუდგინოს მას რისკების ანალიზი, რომელშიც წარმოდგენილი იქნება იმ შეფასებებთან დაკავშირებული რეკომენდაციები, რომლებიც დაუგეგმავი საველე ვიზიტების ფორმით განხორციელდება.
3. ფრონტექსის მიერ ჩასატარებელი, პირველ და მე-2 პუნქტებში მითითებული რისკის ანალიზი კომისიას პირველად არაუგვიანეს 2014 წლის 27 თებერვლამდე უნდა წარუდგინოს.

მუხლი 8

ფრონტექსის გარდა, ევროკავშირის სხვა ორგანოების, უწყებებისა და სააგენტოების მიერ განხორციელებული რისკების ანალიზი

კომისია, საჭიროების შემთხვევაში, ევროკავშირის კანონმდებლობის განხორციელებაში ფრონტექსის გარდა ჩართულ სხვა ორგანოებს, უწყებებს და სააგენტოებს სთხოვს, წარმოადგინონ რისკების ანალიზი, მათ შორის, კორუფციისა და ორგანიზებული

დანაშაულის სფეროებში, რამდენადაც ისინი შეიძლება უარყოფით გავლენას ახდენდეს წევრი სახელმწიფოების მიერ შენგენის კანონმდებლობის გამოყენებაზე. აღნიშნული ანალიზები შეიძლება წლიური შფასების პროგრამების მომზადებაში იქნას გამოყენებული.

მუხლი 9

კითხვარი

1. წევრ სახელმწიფოებთან მჭიდრო თანამშრომლობით, კომისია განმახორციელებელი აქტების მეშვეობით შეიმუშავებს და განაახლებს სტანდარტულ კითხვარს. სტანდარტული კითხვარის პროექტის შესახებ კონსულტაციების მიღება შესაძლებელია ფრონტექსისა და ევროპოლისაგან. სტანდარტული კითხვარი მოიცავს შესაბამის კანონმდებლობას, საყოველთაოდ შეთანხმებულ რეკომენდაციებს და საუკეთესო პრაქტიკას, განსაკუთრებით, შენგენის კატალოგებში წარმოდგენილ ორგანიზაციულ და ტექნიკურ საშუალებებს შენგენის კანონმდებლობის გასახორციელებლად და ხელმისაწვდომ სტატისტიკურ მონაცემებს თითოეული შესაფასებელი სფეროს შესახებ. ამ განმახორციელებელი აქტების მიღება 21(2)-ე მუხლში მითითებული შემოწმების პროცედურის შესაბამისად უნდა მოხდეს.

2. ყოველი წლის პირველ ივლისამდე, კომისია სტანდარტულ კითხვარს უგზავნის იმ წევრ სახელმწიფოებს, რომელთა შეფასებაც უნდა განხორციელდეს მომდევნო წელს. წევრი სახელმწიფოები შევსებულ კითხვარს კომისიას მისი მიღებიდან 8 კვირის განმავლობაში უბრუნებენ. კომისია წარმოდგენილ პასუხებს სხვა წევრი სახელმწიფოებისათვის ხელმისაწვდომს ხდის და პასუხებს ევროპარლამენტს აცნობებს. ევროპარლამენტის მოთხოვნის შემთხვევაში, განსაკუთრებით საქმის სერიოზულობის გამო, კომისიამ თითოეული საქმის მიხედვით და ევროპარლამენტსა და კომისიას შორის ურთიერთობის წესების თანახმად, კონკრეტული პასუხის შინაარსის შესახებ ინფორმაცია ასევე უნდა მიაწოდოს ევროპარლამენტს.

მუხლი 10

საველე ვიზიტებზე პასუხისმგებელი გუნდები

1. საველე ვიზიტებზე პასუხისმგებელი გუნდი (საველე ვიზიტების გუნდი) წევრი სახელმწიფოების მიერ დასახელებული ექსპერტებითა და კომისიის წარმომადგენლებით დაკომპლექტდება.

2. კომისია წევრ სახელმწიფოებს მიმართავს თხოვნით, დაასახელონ ექსპერტები, რომელთაც შესაბამის საველე ვიზიტებში მონაწილეობა შეუძლიათ, მათი ექსპერტიზის სფეროს მითითებით.

დაგეგმილი საველე ვიზიტის შემთხვევაში, კომისიამ წევრ სახელმწიფოებს ექსპერტების დასახელების თხოვნით დაგეგმილი ვიზიტის დაწყებამდე არანაკლებ 3 თვით ადრე უნდა მიმართოს. წევრმა სახელმწიფოებმა ექსპერტები მოთხოვნის მიღებიდან 2 კვირის განმავლობაში უნდა დაასახელონ.

მოულოდნელი საველე ვიზიტის შემთხვევაში, კომისიამ წევრ სახელმწიფოებს ექსპერტების დასახელების თხოვნით ვიზიტის დაწყებამდე არანაკლებ 2 კვირით ადრე უნდა მიმართოს. წევრმა სახელმწიფოებმა ექსპერტები მოთხოვნის მიღებიდან 72 საათის განმავლობაში უნდა დაასახელონ.

3. საველე ვიზიტში კომისიიდან არაუმეტეს 2 წარმომადგენელი მონაწილეობს. წევრი სახელმწიფოების ექსპერტთა რაოდენობა დაგეგმილი საველე ვიზიტისას 8-ს შეადგენს, ხოლო მოულოდნელი ვიზიტისას - 6-ს.

თუკი წევრი სახელმწიფოების მიერ დასახელებული ექსპერტების რაოდენობა პირველი ქვეპუნქტით გათვალისწინებულ მაქსიმალურ რაოდენობას აღემატება, კომისია გუნდის წევრებს აღნიშნულ წევრ სახელმწიფოებთან კონსულტაციის შემდეგ, გეოგრაფიული ბალანსისა და ექსპერტთა კომპეტენციების მიხედვით ნიშნავს.

4. წევრი სახელმწიფოების ექსპერტმა არ შეიძლება მიიღოს მონაწილეობა შეფასების მისიაში, რომელიც მოიცავს საველე ვიზიტს იმ წევრ სახელმწიფოში, სადაც ის მუშაობს.

5. კომისიას შეუძლია თხოვნით მიმართოს ფრონტექსს, ევროპოლს, ან ევროკავშირის სხვა ორგანოებს, უწყებებსა და სააგენტოებს, რომლებიც ჩართული არიან შენგენის კანონმდებლობის განხორციელებაში, რათა დაასახელონ წარმომადგენელი, რომელიც დამკვირვებლის სტატუსით მიიღებს მონაწილეობას საველე ვიზიტში, რომელიც მისი მანდატის სფეროს ეხება.

6. საველე ვიზიტების ხელმძღვანელი ექსპერტები არიან კომისიის წარმომადგენელი და წევრი სახელმწიფოს ის ექსპერტი, რომელსაც გუნდის წევრები ერთობლივად, გუნდის შეკრებისთანავე დანიშნავენ. ხელმძღვანელი ექსპერტები მე-13(2) მუხლში მითითებული დეტალური პროგრამის მომზადებამდე შესაბამის ვადებში უნდა დაინიშნონ.

მუხლი 11

კითხვარის საფუძველზე გაკეთებულ შეფასებებზე პასუხისმგებელი გუნდები

1. კითხვარის დამოუკიდებლად გამოყენების შემთხვევაში, ანუ როდესაც კითხვარის შევსებას არ მოყვება საველე ვიზიტი, როგორც ეს მითითებულია მე-4(2) მუხლში, კითხვარში ასახული პასუხების შეფასებაზე პასუხისმგებელი გუნდი („კითხვარის გუნდი“) წევრი სახელმწიფოების ექსპერტებისა და კომისიის წარმომადგენლებისაგან უნდა შედგებოდეს.

2. შესაფასებელი წევრი სახელმწიფოსათვის კითხვარის გაგზავნისას, კომისია თხოვნით მიმართავს წევრ სახელმწიფოებს, დაასახელონ ექსპერტები, რომლებსაც შეფასებაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ, მათი ექსპერტიზის სფეროს მითითებით. წევრი სახელმწიფოები ექსპერტებს თხოვნის მიღებიდან ორი კვირის ვადაში ასახელებენ. ექსპერტები მე-10(3) და (4) მუხლის თანახმად დაინიშნებიან.

მუხლი 12

ექსპერტები

შეფასებაში მონაწილე ექსპერტებს უნდა გააჩნდეთ შესაბამისი კვალიფიკაცია, მათ შორის, მყარი თეორიული ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება შეფასების მექანიზმით განსაზღვრულ სფეროებში, ასევე შეფასების პრინციპების, პროცედურებისა და ტექნიკების ცოდნა, და უნდა შეეძლოთ საერთო ენაზე სრულყოფილად კომუნიკაცია. სწორედ ამ მიზნით, წევრმა სახელმწიფოებმა და კომისიამ, შესაბამის ორგანოებთან, უწყებებსა და სააგენტოებთან თანამშრომლობით, უნდა უზრუნველყონ ექსპერტები შესაბამისი სწავლებებით, მათ შორის, ფუნდამენტური უფლებების დაცვის საკითხებზე.

მუხლი 13

საველე ვიზიტის ჩატარება

1. საველე ვიზიტის გუნდებმა უნდა განახორციელონ ყველა საჭირო მოსამზადებელი საქმიანობა, რათა უზრუნველყონ ეფექტური, ზუსტი და თანმიმდევრული საველე ვიზიტების განხორციელება.

2. დაგეგმილი საველე ვიზიტების დეტალურ პროგრამას კომისია ხელმძღვანელ ექსპერტებსა და შესაბამის წევრ სახელმწიფოსთან თანამშრომლობით შეიმუშავებს. წევრი სახელმწიფოები შემუშავებული პროგრამის შესახებ ინფორმირებულნი უნდა იყვნენ. დაუგეგმავი საველე ვიზიტების პროგრამას კომისია შეიმუშავებს.

შესაბამის წევრ სახელმწიფოსთან ჩატარდება კონსულტაცია და მას ცხრილი და დეტალური პროგრამა გაეგზავნება:

(ა) დაგეგმილ საველე ვიზიტამდე სულ მცირე 6 კვირით ადრე;

(ბ) მოულოდნელ საველე ვიზიტამდე სულ მცირე 24 საათით ადრე.

შიდა საზღვრებზე მოულოდნელი საველე ვიზიტები ხორციელდება შესაბამისი წევრი სახელმწიფო(ები)ს წინასწარი გაფრთხილების გარეშე. მსგავსი ვიზიტების პრაქტიკულად მოსამზადებელ ზოგად გაიდლაინებს კომისია წევრ სახელმწიფოებთან მჭიდრო თანამშრომლობით შეიმუშავებს.

3. საველე ვიზიტის გუნდის თითოეულმა წევრმა უნდა ატაროს საიდენტიფიკაციო საბუთი, რომელიც მას წინამდებარე რეგულაციის თანახმად საველე ვიზიტის განხორციელების უფლებამოსილებას ანიჭებს.

4. შესაფასებელმა წევრმა სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ საველე ვიზიტის გუნდს მანდატის ფარგლებში შესაფასებელ ტერიტორიაზე აქტივობების განხორციელების შესაძლებლობა ჰქონდეს. კერძოდ, მან უნდა უზრუნველყოს, რომ საველე ვიზიტის გუნდს შეეძლოს პირდაპირ მიმართოს შესაბამის პირებს და ჰქონდეს დაშვება შეფასებისათვის აუცილებელ ყველა ტერიტორიაზე, შენობასა თუ დოკუმენტზე.

5. შესაფასებელი წევრი სახელმწიფო, მის ხელთ არსებული სამართლებრივი უფლებამოსილების ფარგლებში, საველე ვიზიტის გუნდს მისი ამოცანების შესრულებაში ყველანაირ დახმარებას გაუწევს.

6. დაგეგმილი საველე ვიზიტების შემთხვევაში, კომისია შესაფასებელ წევრ სახელმწიფოს გუნდის ექსპერტთა სახელებს წინასწარ აცნობებს. წევრი სახელმწიფო ასახელებს საკონტაქტო პირს, რომელიც საველე ვიზიტისათვის საჭირო საორგანიზაციო საკითხების მოაგვარებს.

7. კომისია და წევრი სახელმწიფოები პასუხს აგებენ საველე ვიზიტის გუნდში მონაწილე ექსპერტებისათვის შესაფასებელი წევრი სახელმწიფოსკენ და უკან მგზავრობის ორგანიზებაზე. საველე ვიზიტების მონაწილე ექსპერტების მგზავრობისა და დაბინავების ხარჯებს კომისია ანაზღაურებს.

შესაფასებელი წევრი სახელმწიფო პასუხს აგებს საველე გუნდის წევრებისათვის საჭირო დაბინავებისა და ტრანსპორტირების საკითხების მოგვარებაზე. მოულოდნელი ვიზიტების შემთხვევაში, ექსპერტების დაბინავებასთან დაკავშირებულ საკითხებს კომისია აგვარებს.

მუხლი 14

შეფასების ანგარიშები

1. თითოეული შეფასების დასრულების შემდეგ მზადდება შეფასების ანგარიში. შეფასების ანგარიში საველე ვიზიტის დროს გაკეთებულ კვლევისა და კითხვარის შედეგებს ეფუძნება. საველე ვიზიტის შემთხვევაში, შეფასების ანგარიშს ვიზიტის დროს საველე ვიზიტის გუნდი ამზადებს.

წევრი სახელმწიფოების ექსპერტები და კომისიის წარმომადგენლები იღებენ ვალდებულებას, მოამზადონ შეფასების ანგარიში და უზრუნველყონ მისი ობიექტურობა და ხარისხიანობა. აზრთა სხვადასხვაობის შემთხვევაში, საველე ვიზიტის გუნდი ან კითხვარის გუნდი შესაბამის შემთხვევებში, უნდა შეეცადოს მიაღწიოს კომპრომისს.

2. შეფასების ანგარიში თვისებრივ, რაოდენობრივ, ოპერაციულ, ადმინისტრაციულ და ორგანიზაციულ ასპექტებს უნდა ანალიზებდეს და შეფასების დროს გამოვლენილი ხარვეზების ჩამონათვალს უნდა მოიცავდეს.

3. შეფასების ანგარიშში თითოეული კვლევის შედეგის შეფასება ხორციელდება შემდეგი ფორმით:

(ა) დამაკმაყოფილებელი;

(ბ) დამაკმაყოფილებელი, მაგრამ საჭიროებს გაუმჯობესებას;

(გ) არა დამაკმაყოფილებელი.

4. შეფასების ანგარიშის პროექტს კომისია წევრ სახელმწიფოს საველე ვიზიტიდან, ან კითხვარზე პასუხის მიღებიდან 6 კვირაში გადაუგზავნის. შესაფასებელი წევრი სახელმწიფო შეფასების ანგარიშის პროექტზე საკუთარ კომენტარებს მისი მიღებიდან 2 კვირაში

გადაუგზავნის. წევრი სახელმწიფოს მოთხოვნის შემთხვევაში, შესაძლებელია შეფასების ანგარიშთან დაკავშირებით შეხვედრა ჩატარდეს. შესაფასებელი წევრი სახელმწიფოს მიერ გაკეთებული კომენტარები შესაძლებელია შეფასების ანგარიშის პროექტში აისახოს.

5. შეფასების ანგარიშის პროექტსა და წევრი სახელმწიფოს მიერ მასზე გაკეთებულ კომენტარებს კომისია სხვა წევრ სახელმწიფოებს გადაუგზავნის და კითხვარის პასუხებზე, შეფასების ანგარიშის პროექტსა და შესაფასებელი წევრი სახელმწიფოს მიერ გაკეთებულ კომენტარებზე შენიშვნების მითითებას სთხოვს.

ამის საფუძველზე, კომისია, საჭიროების შემთხვევაში, შეფასების ანგარიშის პროექტში შესაბამის ცვლილებებს შეიტანს და მას აღსრულების აქტის მეშვეობით დაამტკიცებს. აღსრულების აქტის მიღება ხდება 21(2)-ე მუხლში მითითებული შეფასების პროცედურის შესაბამისად. კომისია შეფასების ანგარიშს ევროპარლამენტს გადაუგზავნის.

მუხლი 15

რეკომენდაციები

1. შეფასების ანგარიშის მომზადებისას და ანგარიშში ასახული კვლევის შედეგებისა და შეფასებების გათვალისწინებით, წევრი სახელმწიფოების ექსპერტები და კომისიის წარმომადგენლები მოამზადებენ რეკომენდაციებს, რომლებიც შეფასების დროს იდენტიფიცირებული ხარვეზების გამოსწორებაზე მიმართულ ქმედებებს მოიცავს და მათი განხორციელების პრიორიტეტულობაზე მიუთითებს, საჭიროების შემთხვევაში კი ასევე საუკეთესო გამოცდილების მაგალითებსაც მოიცავს.
2. კომისია საბჭოს წინადადებას წარუდგენს პირველ პუნქტში მითითებული რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე.
3. საბჭო პირველპუნქტში მითითებულ რეკომენდაციებს ამტკიცებს და მათ ევროპარლამენტსა და ეროვნულ პარლამენტებს გადაუგზავნის.

მუხლი 16

შემდგომი სამუშაო და მონიტორინგი

1. მე-15 მუხლში მითითებული რეკომენდაციების მიღებიდან 3 თვის განმავლობაში, შესაფასებელი წევრი სახელმწიფო კომისიასა და საბჭოს შეფასების ანგარიშში იდენტიფიცირებული ხარვეზების გამოსწორების ქმედებების მომცველ სამუშაო გეგმას გადასცემს. თუკი რეკომენდაციები ასკვნის, რომ შესაფასებელი წევრი სახელმწიფო სერიოზულად თავს არიდებს საკუთარ ვალდებულებებს, წევრმა სახელმწიფომ რეკომენდაციების მიღებიდან ერთი თვის განმავლობაში უნდა წარმოადგინოს სამოქმედო გეგმა. აღნიშნულ გეგმას კომისია ევროპის პარლამენტს გადაუგზავნის.
2. სავლე ვიზიტის გუნდთან ან კითხვარის გუნდთან (საჭიროებისამებრ) კონსულტაციის გავლის შემდეგ, კომისია საბჭოს სამოქმედო გეგმის შესაბამისობის შეფასებას შესაფასებელი

წევრი სახელმწიფოსაგან სამოქმედო გეგმის მიღებიდან 1 თვის განმავლობაში წარუდგენს. სამოქმედო გეგმაზე კომენტარების გაკეთება ეთხოვება სხვა წევრ სახელმწიფოებს.

3. შესაფასებელი წევრი სახელმწიფო კომისიას სამოქმედო გეგმის განხორციელების შესახებ ანგარიშს რეკომენდაციების მიღებიდან 6 თვის განმავლობაში აბარებს და ამის შემდეგაც აგრძელებს ანგარიშგებას ყოველ 3 თვეში ერთხელ, სამოქმედო გეგმის სრულად განხორციელების დასრულებამდე.

4. მიუხედავად მე-3 პუნქტში მითითებული სამოქმედო გეგმის განხორციელების შესახებ 6-თვიანი ანგარიშგების პერიოდისა, თუკი რეკომენდაციებში აღნიშნულია, რომ შესაფასებელი წევრი სახელმწიფო მნიშვნელოვად უგულვებელყოფს თავის ვალდებულებებს, წევრმა სახელმწიფომ სამოქმედო გეგმის განხორციელების შესახებ ანგარიში რეკომენდაციების მიღებიდან 3 თვის ვადაში უნდა წარმოადგინოს.

5. გამოვლენილი ხარვეზების სერიოზულობიდან და მათი გამოსწორების ზომებიდან გამომდინარე, კომისიამ შეიძლება დანიშნოს განმეორებითი დაგეგმილი სავალდებულო ვიზიტები, რათა გადაამოწმოს სამოქმედო გეგმის განხორციელების მიმდინარეობა. კომისია განმეორებით ვიზიტში მონაწილეობის მისაღებად სულ მცირე 4 სავალდებულო ვიზიტში მონაწილე ექსპერტს მოიწვევს. განმეორებით ვიზიტზე კომისიამ შეიძლება დამკვირვებლებიც მოიწვიოს. განმეორებითი ვიზიტის პროგრამას კომისია ამზადებს. შესაფასებელ წევრ სახელმწიფოს პროგრამა განმეორებით ვიზიტამდე სულ მცირე 1 თვით ადრე გაეგზავნება. კომისიას ასევე შეუძლია დანიშნოს მოულოდნელი განმეორებითი ვიზიტებიც.

6. კომისია ევროპარლამენტსა და საბჭოს სამოქმედო გეგმის განხორციელების ან ამ მუხლში მითითებული გაუმჯობესების ღონისძიებების შესახებ ინფორმაციას რეგულარულად მიაწვდის.

7. თუკი ვიზიტი ისეთ სერიოზულ ხარვეზს გამოავლენს, რომელიც სერიოზულ საფრთხეს უქმნის სახელმწიფო პოლიტიკას ან უსაფრთხოებას შიდა სასაზღვრო კონტროლის არმქონე ზონაში, კომისია ამის შესახებ ევროპარლამენტსა და საბჭოს საკუთარი ინიციატივით, ევროპარლამენტის მოთხოვნით ან წევრი სახელმწიფოს მოთხოვნით, შესაძლებლად მოკლე პერიოდში აცნობებს.

8. როდესაც წევრი სახელმწიფო აკმაყოფილებს მოთხოვნებს, მაგრამ რეკომენდაციები მე-14(3)(ბ) მუხლის თანახმად შესაძლო შემდგომ გაუმჯობესებებზე მიუთითებს, შესაფასებელმა წევრმა სახელმწიფომ რეკომენდაციების მიღებიდან 6 თვის განმავლობაში კომისიას უნდა წარუდგინოს ამ მითითებების შესაძლო განხორციელების მისეული შეფასება.

მუხლი 17

კონფიდენციალური ინფორმაცია

სავალდებულო ვიზიტისა და კითხვარის გუნდებმა უნდა დაიცვან მათ მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების პროცესში მიღებული ნებისმიერი ინფორმაციის კონფიდენციალურობა. სავალდებულო ვიზიტების შემდეგ მომზადებული შეფასების ანგარიშებს,

შესაბამისი უსაფრთხოების წესების თანახმად, „ევროკავშირის მიერ შეზღუდულის“ სტატუსით იქნება გასაიდუმლოებული. გასაიდუმლოება ევროპარლამენტისათვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შეზღუდვას არ გულისხმობს. წინამდებარე რეგულაციის წესების თანახმად, ინფორმაციისა და დოკუმენტების ევროპარლამენტისათვის გადაცემა უნდა შეესაბამებოდეს საიდუმლო ინფორმაციის გაგზავნის წესებს, რომლებიც ევროპარლამენტსა და კომისიაზე ვრცელდება. წევრ სახელმწიფოსთან კონსულტაციის შედეგად, კომისია იღებს გადაწყვეტილებას შეფასების ანგარიშის იმ ნაწილების შესახებ, რომელთა გაასაჯაროებაც შესაძლებელია.

მუხლი 18

გაერთიანებული სამეფოსა და ირლანდიის მონაწილეობის პირობები

1. გაერთიანებული სამეფოსა და ირლანდიის ექსპერტები მონაწილეობას მხოლოდ შენგენის კანონმდებლობის იმ ნაწილის შეფასებაში იღებენ, რომელშიც მათ მონაწილეობის უფლებამოსილება აქვთ.
2. როგორც მე-4(1) მუხლშია აღწერილი, შეფასებები უნდა მოიცავდეს გაერთიანებული სამეფოსა და ირლანდიის მიერ შენგენის კანონმდებლობის იმ ნაწილის ეფექტურ და ეფექტიან გამოყენებას, რომელთა შემთხვევაშიც ამ წევრ სახელმწიფოებს მონაწილეობის უფლებამოსილება გააჩნიათ.
3. როგორც მე-15(3) მუხლში არის აღწერილი, გაერთიანებული სამეფო და ირლანდია საბჭოს მიერ რეკომენდაციების მიღებაში მონაწილეობას იღებენ მხოლოდ მაშინ, როდესაც რეკომენდაციები ეხება შენგენის კანონმდებლობის იმ ნაწილს, რომელთა შემთხვევაშიც ამ წევრ სახელმწიფოებს მონაწილეობის უფლებამოსილება აქვთ.

მუხლი 19

ეროვნული პარლამენტების ინფორმირება

შეფასების შინაარსისა და შედეგების შესახებ ეროვნული პარლამენტების ინფორმირებას კომისია უზრუნველყოფს.

მუხლი 20

ევროპარლამენტისა და საბჭოს წინაშე ანგარიშგება

კომისია ევროპარლამენტსა და საბჭოს ამ რეგულაციის თანახმად ჩატარებული შეფასებების შესახებ წლიურ ყოვლისმომცველ ანგარიშს წარუდგენს. ეს ანგარიში საჯაროა და მოიცავს ინფორმაციას წინა წლის განმავლობაში განხორციელებული შეფასებების შესახებ, ისევე, როგორც თითოეული შეფასების შედეგად გაკეთებული დასკვნებისა და გამოსასწორებელი ქმედებების განხორციელების კუთხით არსებული მდგომარეობის შესახებ. კომისია ანგარიშს ეროვნულ პარლამენტებს გადაუგზავნის.

მუხლი 21

საკომიტეტო პროცედურა

1. კომისიას დახმარებას უწევს კომიტეტი. ეს კომიტეტი #182/2011 რეგულაციის თანახმად გათვალისწინებული კომიტეტია.
2. როდესაც მითითებულია ეს პუნქტი, გამოიყენება #182/2011 რეგულაციის მე-5 მუხლი. თუკი კომიტეტი მოსაზრებას არ წარმოადგენს, კომისიამ არ უნდა მიიღოს სააღსრულებო აქტი და უნდა გამოიყენოს #182/2011 რეგულაციის მე-5(4) მუხლის მესამე ქვეპუნქტი.

მუხლი 22

მიმოხილვა

კომისია წინამდებარე რეგულაციის მოქმედების მიმოხილვას განახორციელებს და მე-5(5) მუხლში მითითებული პირველი მრავალწლიანი შეფასების პროგრამის ფარგლებში ჩატარებული ყველა შეფასებების მიღებიდან 6 თვის განმავლობაში საბჭოს ანგარიშს წარუდგენს. მსგავსი მიმოხილვა მოიცავს ამ რეგულაციის ყველა ელემენტს, მათ შორის, შეფასების მექანიზმის ფარგლებში აქტების მიღების პროცედურების მოქმედებას. კომისია ანგარიშს ევროპარლამენტს გადაუგზავნის.

მუხლი 23

გარდამავალი დებულებები და გაუქმება

2013 წლის 26 ნოემბერს 1998 წლის 16 სექტემბრის გადაწყვეტილება ამ მუხლის მეორე და მესამე პუნქტების დარღვევის გარეშე გაუქმდება.

წევრი სახელმწიფოების შეფასების იმ პროცედურებთან მიმართებით, რომელთა განხორციელება 2013 წლის 26 ნოემბრისათვის დაწყებული იყო, პირველ პუნქტში ხსენებული გადაწყვეტილების პირველი ნაწილი 2016 წლის პირველ იანვრამდე იმოქმედებს.

წევრი სახელმწიფოების შეფასების იმ პროცედურებთან მიმართებით, რომელთა განხორციელება 2013 წლის 26 ნოემბრისათვის დაწყებული იყო, პირველ პუნქტში მითითებული გადაწყვეტილების მეორე ნაწილი 2014 წლის 27 ნოემბრამდე იმოქმედებს.

მუხლი 24

ძალაში შესვლა

წინამდებარე რეგულაცია მისი „ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში“ გამოქვეყნებიდან მე-20 დღეს შევა ძალაში.

არსებული ხელშეკრულებების თანახმად, წინამდებარე რეგულაცია მთლიანად სავალდებულოა და პირდაპირ გამოიყენება წევრ სახელმწიფოებში.

შედგენილია ლუქსემბურგში, 2013 წლის 7 ოქტომბერს.

*საბჭოს სახელით
პრეზიდენტი
ჯეი. ბერნატონისი*

(1) 2013 წლის 12 ივნისის მოსაზრება (ჯერჯერობით გამოუქვეყნებელი ოფიციალურ ჟურნალში).

(2) [OJ L 239, 22.9.2000, გვ. 138.](#)

(3) [OJ C 53, 3.3.2005, გვ. 1.](#)

(4) [OJ C 115, 4.5.2010, გვ. 1.](#)

(5) საბჭოს 2004 წლის 26 ოქტომბრის რეგულაცია (EC) No 2007/2004 ევროპის კავშირის წევრი სახელმწიფოების გარე საზღვრებზე თანამშრომლობის მართვის ევროპული სააგენტოს დაარსების შესახებ([OJ L 349, 25.11.2004, გვ. 1.](#)).

(6) [OJ L 55, 28.2.2011, გვ. 13.](#)

(7) საბჭოს 2009 წლის 6 აპრილის გადაწყვეტილება 2009/371/JHA ევროპის პოლიციის (ევროპოლის) ჩამოყალიბების შესახებ([OJ L 121, 15.5.2009, გვ. 37.](#)).

(8) საბჭოს 2002 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილება 2002/187/JHA სისხლის სამართლის სერიოზულ დანაშაულებთან ბრძოლის მიზნით ევროკავშირის სამართლებრივი თანამშრომლობის განყოფილების დაარსების შესახებ ([OJ L 63, 6.3.2002, გვ. 1.](#)).

(9) [OJ L 131, 1.6.2000, გვ. 43.](#)

(10) [OJ L 64, 7.3.2002, გვ. 20.](#)

(11) [OJ L 176, 10.7.1999, გვ. 36.](#)

(12) [OJ L 176, 10.7.1999, გვ. 31.](#)

(13) [OJ L 53, 27.2.2008, გვ. 52.](#)

(14) [OJ L 53, 27.2.2008, გვ. 1.](#)

(15) [OJ L 160, 18.6.2011, გვ. 21.](#)

(16) [OJ L 160, 18.6.2011, გვ. 19.](#)

ევროპარლამენტის, საბჭოსა და კომისიის ერთობლივი განცხადება

ევროპარლამენტი, საბჭო და კომისია მიესალმებიან შენგენის საზღვრების კოდექსში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებული რეგულაციის მიღებას, რომლის მიზანი გამონაკლის შემთხვევებში შიდა საზღვრებზე დროებითი კონტროლის ხელახალი შემოღების შესახებ საერთო წესების დაწესება და შენგენის კანონმდებლობის გამოყენების შესამოწმებლად შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმის ჩამოყალიბებაა. მიგვაჩნია, რომ ეს ახალი მექანიზმები სათანადოდ პასუხობს 2011 წლის 24 ივნისის დასკვნებში ევროსაბჭოს მიერ გაკეთებულ მოწოდებას შენგენის ზონაში წევრ სახელმწიფოებს შორის

თანამშრომლობისა და ორმხრივი ნდომის გამყარებასა და ეფექტური და სანდო მონიტორინგისა და შეფასების სისტემის ჩამოყალიბებაზე, რომლის მიზანი საერთო წესების ჩამოყალიბების ხელშეწყობა და ევროკავშირის კანონმდებლობის საფუძველზე კრიტერიუმების გაძლიერება, მიღება და გაფართოებაა. ამავდროულად, ევროპის გარე საზღვრების ეფექტური და თანმიმდევრული მართვა ერთიანი პასუხისმგებლობის, სოლიდარობისა და პრაქტიკული თანამშრომლობის საფუძველზე უნდა განხორციელდეს.

შენგენის სასაზღვრო კოდექსში შეტანილი წინამდებარე ცვლილებები ევროკავშირის დონეზე კოორდინაციასა და თანამშრომლობას გააძლიერებს, ერთი მხრივ, წევრი სახელმწიფოების მიერ საზღვრის კონტროლის ხელახალი შემოღებისათვის კრიტერიუმების განსაზღვრით და, მეორე მხრივ, ევროკავშირის ბაზაზე არსებული მექანიზმის შექმნით იმ ჭეშმარიტად კრიტიკულ სიტუაციებზე საპასუხოდ, რომლებიც შიდა საზღვრების არმქონე ზონის ზოგად ფუნქციონირებას რისკის წინაშე აყენებს.

ახალი შეფასების სისტემა ევროკავშირის ბაზაზე შექმნილი მექანიზმია; ის შენგენის კანონმდებლობის ყველა ასპექტს მოიცავს და მასში ჩართული არიან წევრი სახელმწიფოების, კომისიისა და ევროკავშირის შესაბამისი უწყებების ექსპერტები.

ისინი აცნობიერებენ, რომ მომავალში კომისიის მიერ ამ შეფასების სისტემაში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებული ნებისმიერი წინადადება კონსულტაციებისათვის ევროპარლამენტს გაეგზავნება, რათა ამ უკანასკნელმა ეს მოსაზრება ტექსტის საბოლოო სახით მიღებამდე, შესაძლებლობის ფარგლებში გაითვალისწინოს.